გეგა ჭინჭარაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი

საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

მენდელის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

უცხოეთში სწავლის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული განვითარებისთვის, რომლის შესაძლებლობაც Erasmus+ პროგრამამ მომცა. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე იყო უამრავი პრობლემა, სირთულე უცხო ქვეყანასა და უცხო გარემოსთან დაკავშირებით, ამ პროგრამის წყალობით სტუდენტური ცხოვრება აქამდე წარმოუდგენელი და პოზიტიურად განსხვავებული კუთხით დავინახე.

2026 წლის გაზაფხულის სემესტრი გავატარე ჩეხეთის ერთ-ერთ წამყვან, მენდელის უნივერსიტეტში, ქალაქ ბრნოში. მთელი სემესტრის განმავლობაში შევძელი დავახლოვებოდი ჩეხურ კულტურას, ავყოლოდი იქაურ ცხოვრების რიტმსა და გამეცნო უამრავი ადამიანი არა მარტო ჩეხეთიდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. ბრნოში გატარებულმა ამ ერთმა სემესტრმა ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინა და შევძელი კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა დამოუკიდებლად ცხოვრებასა და საკუთარი თავის უკეთ შეცნობისკენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრნო ჩეხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და ინოვაციური ცენტრია, მენდელის უნივერსიტეტმა უზრუნველყო ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა ადგილობრივ პირობებთან შერწყმით, რომელიც ჩემს პროფესიულ განვითარებას ხელს შეუწყობდა.

სწავლის გარდა, ამ პროგრამის მეშვეობით შევძელი ქართული კულტურისა და ღირებულებების გაცნობა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის. ასევე, საშუალება მომეცა მეტი რამ გამეგო სხვა ქვეყნებზე ადგილობრივებთან საუბრითა და მოგზაურობით. შეიძლება იფიქროთ, რომ ერთი სემესტრი მცირე დროა ფუნდამენტური პიროვნული ცვლილებებისთვის, თუმცა ასეთ ხანმოკლე პერიოდშიც კი შესაძლებელია განსხვავებული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

ასე რომ, ის ყოყმანი, სირთულეები და გაურკვევლობა, რაც პროგრამაში მონაწილეობის თანმდევი ემოციებია, გადაიზარდა ისეთ გამოცდილებაში, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. შესაბამისად, ყველას ვურჩევ, რომ გადალახონ შიშები და დატოვონ კომფორტის ზონა, რათა მიიღონ ისეთი დაუვიწყარი გამოცდილება, რომელსაც ეს პროგრამა მათ სთავაზობს.